ზაქარია ჩხიკვაძე

1930 წელს აპრილის 27-ს, ღამის 2 საათზე გარდაიცვალა ზაქარია ივანესძე ჩხიკვაძე, 68 წლისა. ორმოცი წლის განმავლობაში განსვენებული სიყვარულით ასრულებდა მასწავლებლის მძიმე მოვალეობას, ბოლო წლებში კიდევ მუყაით შრომას ეწეოდა მცველის თანამდებობაზე უნივერსიტეტთან არსებულს ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში. იშვიათი ადამიანი მოშორდა წუთისოფელს, ადამიანი თავდავიწყებამდე ერთგული განათლებისა და მეცნიერების, ადამიანი, რომელსაც თავის ავადმყოფობის დროს გულზე ლოდად აწვა ის, რომ იძულებული ხდებოდა მუზეუმში სამუშაო დღეები გამოეტოვებინა.

ზაქარია ჩამომავლობით გლეხი იყო, მამა მისი თელავში მჭედლობდა. განათლება ზაქარიამ ტფილისის **სემინარიაში მიიღო.** სწავლის დამთავრებისას და მასწავლებლობის დაწყებისთანვე ხელი მიჰყო ერთი მხრივ თედო ჟორდანიას ხელმძღვანელობით ისტორიულსა და არქეოლოგიურ ძეგზებზე მუშაობას და მეორე მხრივ ქართული სიმღერების შეკრებასა და ფიქსაცია. 1896 წელს გამოსცა ქართული სიმღერების კრებული — „სალამური", რომელიც რასაკვირველია აგრეთვე ნავარაუდევი იყო სკოლებისათვის სახელმძღვანელოდ. ისტორიაში ზაქარიას უმთავრესად იზიდავდა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები და თავის სამშობლო მხარეში, კახეთს, სამართლიანად ითვლებოდა თვითეულის ისტორიულისა და ხელოვნების მხრივ შესანიშნავი ძეგლის მცოდნედ. როგორც გულახდილი ადამიანი, ზაქარია ჯეროვანოდ უშლიდა წინ ყველას თავის ცოდნას და მუდამ ხალისით ეკიდებოდა თანამშრომლობითს კვლევა-ძიებებს და აწყობდა საძნელო ექსკურსიებს კახეთის მთიან ადგილებისაკენ. ქართულ პერიოდულ გამოცემებში მთელი რიგი წერი-

ლები მხოლოდ ნაწილობრივ ჰფენენ ნათელს მის აღმოჩენილ[illegible] [illegible] გორც მრავალ ხუროთმოძღვრულ, ის მწერლობის ძეგლთა. ნაწილი სხვა მასალებისა დღემდე გამოუქვეყნებელია. მათ რიცხვშია მუსიკალური ეთნოგრაფიიდან ჩაწერილი მდიდარი მასალები.

ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის მუშაობაში ზაქარია წინასწარი საორგანიზაციო მომენტებიდანვე ჩაება. ყველა სიძნელეო, რომელნიც თან სდევდენ მუშაობას ძეგლების ჩაბარების დროს და მოვლისას, საგამოფენოდ დამზადებისასა და გამორკვევისას, მათი დალაგებისასა და მნახველების დატარებისას, ზაქარია უძღვებოდა თავისი ხასიათისდა კვალად აუღელვებლივ, საქმის ერთგულებით და საქმისადმი მოვალეობის სრული შეგნებით. უხმაუროდ და შეუმჩნევლად შეკრებილია ზაქარიას მიერ ეპიგრაფიკული მასალა, ძეგლებიდან ზუსტი პირების გადმოღებით.

ზაქარიას სიკვდილით სამუზეუმო საქმემ საქართველოში დაკარგა დიდი ერთგული მუშაკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა ძეგლების მოკრებასა და დაცვის საქმეს, მეგობრებმა და განსვენებულის მრავალმა მოწაფემ კიდევ იშვიათი ადამიანი და ხელმძღვანელი.

გიორგი ჩუბინაშვილი.